ხელშეკრულებასახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 75

ქ. ვანი 10.04 2019 წელი

თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი ვანის მუნიციპალიტეტის მერის ალექსანდრე გოგორიშვილის სახით და მეორეს მხრივ ფ/პ ნუნუ შათირიშვილი (შემდგომში - მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.შესყიდვის საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია: სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის მონიტორინგის მიზნით ვანის მუნიციპალიტეტში მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლების დათვალიერების მომსახურების შესყიდვა.

1.2 ხელშეკრულების ღირებულება 620,00 (ექვსასოცი) ლარი. CPV92312000

2. მომსახურების ვადები

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2019 წლის 10 აპრილს.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

3.2 მიღება–ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

ბ) ,,მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

3.4 მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმების შემდეგ, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

4. ანგარიშსწორება და ვალუტა

4.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება წერილობითი მომართვის, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების, საგადასახადო დოკუმენტაციის, წარმოდგენის შემდეგ 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ჩაითვლება

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტში.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარე ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

6.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის ,,მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით

6.3 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

6.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს სამუშაოს შემსრულებელი ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8. დაუძლეველი ძალა

მხარეებ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 მაისის ჩათვლით

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ვანის მუნიციპალიტეტის მერია	ფ/პ ნუნუ შათირიშვილი
ქ. ვანი თავისუფლების ქ. N65	ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი N20
ს/კ 229653256	ს/კ 01017006719
სახელმწიფო ხაზინა	ა/ა GE27TB7795045061100029
ხაზინის ეროვნული ანგარიში	
ბ/კ TRESGE22	ბ/კ TBCBGE22
---	---
ალექსანდრე ბოგვერიშვილი	ნუნუ შათირიშვილი

Self Governing Unit Vani Municipality

Digitally signed by Self Governing Unit Vani Municipality
Date: 2019.04.10 17:20:46 +04'00'